ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2019 წლის 22 აპრილი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №60 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 03/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016429) დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის 1^1 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. ყოველთვიური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსების მქონე პირზე, რომელიც ავადობიდან (პარაპლეგია, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზი, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზი, ქვემო ღრმა პარაპარეზი, კუნთთა პროგრესული ატროფია, ორივე ქვედა ამპუტირებული კიდური, რომელიც არ ექვემდებარება პროთეზირებას, ცერებრალური დამბლა ორივე თვალის ნერვის ატროფიით) გამომდინარე ვერ იყენებს ქვედა კიდურებს და ვერ ახერხებს გადაადგილებას, საჭიროებს მომვლელს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — **ასლან საგანელიძე**